ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის საკრებულოს, რაიონის გამგეობისა და საზოგადოება „ლეჩხუმის“ ერთობლივი ორგანო

№2, 10 აგვისტო, 1999 წელი. გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ ფასი 20 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვილოცავენ

ცხოვრება თითქოს მდორედ, ერფეროვნად მიედინება. ჩვენს პრობლემებით აღსავსე ყოფიერებაში ახალგაზრდები იშვიათად ვახერხებთ ვაკეთოთ ის, რაც ჩვენს სულსა და ხორცში ზის.

ალბათ, რჩეულებს განეკუთვნებიან ჩვენი მეგობრები: თამარ დავითულიანი და ეკა ყვირილიანი თავიანთი საქმე რომ გამონახეს. არ გვინდა ოფიციალურები ვიყოთ, მაგრამ, უბრალოდ, შეუძლებელია არ გამოვხატოთ ის აღფრთოვანება და სიხარული, რაც გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ გამოსვლამ მოგვანიჭა. სულმოუთქმელად ველოდოთ გაზეთის პირველი ნომრის გამოჩენას, რადგან ვიცოდით, რომ ჩვენი გოგონები, მთელი არსებით იყვნენ ჩაფლული ამ სტიქიაში, რა თქმა უნდა, მთელს სარედაქციო კოლეგიასთან ერთად. ჩვენი თავშეყრის ადგილიც გახდა ის პატარა ოთახი -- ღიმილით გვეგებება ყველა, მაგრამ მიკერძოებაში არ ჩამოგვართმევთ, ალბათ, თუ ჩვენ თამრიკოს და ეკას გამოვყოფთ განსაკუთრებით.

თამარ და ეკატერინე, სულით და გულით გილოცავთ გაზეთის გამოსვლას, ჩვენ გვჯერა თქვენი ნიჭის და უნარის, ვიცით, გაზეთის მომავალი ნომრები უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება, თქვენ პრობლემები არ შეგაშინებთ.

არასოდეს დაგვავიწყდება გაზეთით ხელში, გაბრწყინებული თვალებით რომ დაგინახეთ, ეს სიხარული იყოს თქვენი ცხოვრების თანამდევი.

ასე, რომ წარმატებებს გისურვებთ თქვენ და გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ მთელ სარედაქციო კოლეგიას.

თანაკლასელები.

⇨ გვ.5

„...სხეული მმარხველისა არ ბატონობს გონებაზე“

გვილოცავენ

უპირველეს ყოვლისა, დაგილოცავთ ამ პირველ, გაბედულ ნაბიჯს. გისურვებთ, რომ თქვენი გზა-სავალი ღვთის კურთხევით ყოფილიყოს შემკული. მისულიყოთ ტაძრამდე და იმ გადმოსახედიდან გადმოგესროლოთ ფრთიანი და ალალი სიტყვა (რისი სრული იმედიც მაქვს), რაც ესოდენ გვწყურია დღეს ჩვენ, მრავალმხრივად შეჭირვებულ ადამიანებს.

მივიწყებულ კუნძულზე მყოფებივით ვიყავით. ეს ახალი ძაფი კვლავ ჩაგვაბამს საერთო ჭირ-ვარამის ფერხულში და შეგვიმსუბუქებს სულის სიმძიმეს.

გლოცავთ თქვენდა სასიკეთოდ, ჩვენდა საიმედოდ.

ნუნუ კოპალიანი, პედაგოგი

ახალი... ახალი...

⇨ გვ.2

„დრო არჩევნებიდან დღემდე“—ადაპტაციის, თვითდამკვიდრების...

⇨ გვ.4

„...და მაინც ვალში ვგრძნობ თავს“

⇨ გვ.5

გამოცდები გასრულდა, „გამოცდები“ იწყება

დანიშვნა

დაინიშნოს კახა დავითის ძე კობალიანი სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსად ცაგერის რაიონში.

სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე ჩიკვილაძე.

ზურაბ ზეცურიანი: „დრო არჩევნებიდან დღემდე“—ადაპტაციის, თვითდამკვიდრების...

ზურაბ ხეცურიანი__არა გვგონია წარდგენა სჭირდებოდეს მკითხველის წინაშე. იმიჯი მისი შექმნა მისივე პიროვნულმა ხასიათმა, ინტელექტმა, წლებმა, გამოცდილებამ, თანამდებობამ სხვადასხვა სფეროში. შარშან ბატონი ზურაბი რაიონული საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ინფორმაციული ვაკუუმის გამო ბევრმა არ იცის, ან ცოტა იცის ამ ახალი სტრუქტურის როლზე, მოვალეობებზე, სტრატეგიულ მიმართულებებზე, თვით საკრებულოს თავმჯდომარის კრედოსა თუ სამომავლო ამოცანებზე...

ბატონო ზურაბ! როგორ გრძნობთ თავს ახალ ამპლუაში და მოკლედ თქვენი ახალი სამსახურის შესახებ

რაიონული საკრებულოს არსი განსაზღვრულია კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რაიონის დონეზე ეს არის თვითმმართველობის, ანუ მმართველობითი, უფრო სწორად საკანონმდებლო და განმკარგულებელი ორგანო, რომელიც, ფაქტიურად, ილებს იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც აღსრულებადია რაიონში არსებული ყველა ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მისი სამართლებრივი მდგომარეობისა თუ დაქვემდებარებისა. რაიონული საკრებულო ყველაფერს ამას ახორციელებს აღმასრულებელი ორგანოს გამგეობისა და მისი სამსახურების მეშვეობით. ეს არის ორგანო, რომლის ანალოგი წინა პერიოდებმა არ იცის.

თუკი ბევრ რამეში საკანონმდებლო ბაზასაც სჭირდება დახვეწა, რომელმაც უნდა დაარეგულიროს საკითხები, მიმაჩნია, რომ დრო არჩევნებიდან დღემდე, ეს იყო ადაპტაციის, თვითდამკვიდრების, მუშაობის ძირითადი პარამეტრების განსაზღვრის დრო, რომელზედაც უნდა აიგოს მთლიანი საქმიანობა პერსპექტივაში.

იმ პროცესების გათვალისწინებით, რაც ქვეყანასა და რაიონში მიმდინარეობს პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, ზოგიერთი ისეთი პრობლემისადმი შეჭიდება გვიხდება, რომლის გადაწყვეტა დღეს შეუძლებელია სახელმწიფოში არსებული სიტუაციის გამო, საკრებულომ, უპირველესად, მიიჩნია სწორად განსაზღვრულიყო რაიონული ბიუჯეტი, განსაკუთრებული პრიორიტეტი მიგვენიჭებინა მისი საშემოსავლო ნაწილისათვის, აქედან გამომდინარე__სათანადო ყურადღება დაეთმო მისი სწორი ხარჯვისათვის გამგეობასთან ერთად მუშავდება რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეული პროგრამები. საკრებულომ მომზადა პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი ცაგერის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნის აუცილებლობის შესახებ. პროექტი იხვწება სამთავრობო სტრუქტურებში, რომლის შემდეგ, ალბათ, გამოიცემა პრეზიდენტის სათანადო განკარგულება.

ვთვლით, რომ სოციალური საკითხები ის პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტის აუცილებლობა, თუ ხვალინდელი ლეჩხუმის არსებობა გვინდა, გადაუდებელია. აქ საუბარია დემოგრაფიული სიტუაციის მართვაზე, დასაქმების პრობლემებზე, სოციალურად დაუცველი ფენების დახმარების გარკვეული მექანიზმის სრულყოფაზე და ა.შ.

რას იტყვით ჩვენს მწირ ბიუჯეტზე და ხედავთ თუ არა მისი შევსების ოპტიმალურ გზებს?

გეთანხმებით, რომ რაიონული ბიუჯეტი მართლაც მწირია, მაგრამ ბოლო წლებში მოინახა მისი გაზრდის საშუალებები__ვგულისხმობ ადგილობრივ შემოსავლებსაც და ტრანსფერიდან მიღებულ შევსებასაც. ბოლო 3 წელიწადში ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა 200000 ლარით, რეალობაში ეს ციფრები გადაუდებელი ღონისძიებისაკენაა მიმართული. 520 ათასიდან (ტრანსფერი) 420 ათასი ლარი განათლების სისტემის დაფინანსებისათვის მივმართეთ და მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. რატომ? განათლების სისტემაში რეფორმების სრული განხორციელების შემთხვევაში საშინელ დღეში აღმოვჩნდებით, კარგად გვესმის რა__სკოლის, კულტურის ობიექტის გაუქმება სოფლად, სოფლის გაუქმებას ნიშნავს. ეს კი ჩვენი ხვალინდელი ტრაგედიაა. აქედან გამომდინარე ბიუჯეტის 87 პროცენტის სასიცოცხლო სფეროების დაფინანსებისათვის გადასროლა საპატიოდ მიმაჩნია. არადა, ამ პირობებში, ფაქტიურად, აღარ გვრჩება თანხები, ან მიზერული ხასიათი აქვს ამას, ვიფიქროთ ქალაქისა თუ სოფლების ინფრასტრუქურის განვითარებაზე. ინვესტიციების მოზიდვაზე, მეწარმეობის განვითარებისა თუ სხვა აუცილებელი ღონისძიებების დაფინანსებაზე.

ბიუჯეტმა რომ შევსება მიიღოს, რაღაც უნდა მოქმედებდეს რაიონში. ამის ბაზა ჩვენ გაგვაჩნია. ეს არის მცირე საწარმოების ამოქმედება, გადამამუშავებელი და ღვინის მრეწველობის განვითარება, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ტურიზმი, ენეგრეტიკა და. შ.

დიახ, თქვენ ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროდ ბუნებრივი რესურსები ახსენეთ. ჩვენი ეროვნული სიმდიდრის __ტყის გეგმაზომიერი ჭრითა და რეალიზაციით მართლაც შეიძლება სული მოითქვას ბიუჯეტმა. მაგრამ ასე ბარბაროსულად, ალბათ, მურვან-ყრუც არ გააჩანაგებდა ტყეს. იჭრება ყველგან, ჭრის ყველა... ამ დღეებში თქვენც და რაიონულმა გამგეობამაც მიიღეთ შესაბამისი ზომები. რამდენად დროულია ეს ზომები და გეყოფა თუ არა პრინციპულობა და ობიექტურობა შეწყდეს ქაოსი და განუკითხაობა ამ საქმეში?

არა როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს, არამედ როგორც ლეჩხუმელს და ქართველ კაცს გულს მტკენს ის, რაც ხდება. და ეს ყველაფერი იმიტომაც ხდება რომ შესაბამისმა სახელისუფლო სტრუქტურებმა ვერ თუ არ მონახეს მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებდა ამ საკითხს. ავიღოთ, უბრალოდ, ფონდების განწილების საკითხი. რა თქმა უნდა, ხე სად მოიჭრას და როგორ, ეს შესაბამისმა სამსახურმა უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ რაიონზე დაშვებული ფონდების განაწილება უნდა ხდებოდეს რაიონის მმართველობით ორგანოებთან შეთანხმებით. ამით ერთი წუთითაც არ ვეწინააღმდეგები საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, მაგრამ ჩვენ, ლეჩხუმელებმა, უფრო ვიცით რა უფრო მომგებიანია რაიონისთვის.

იძულებული გავხდი 1 ივლისს გამომეცა ჩემი განკარგულება რაიონში ბუნებრივი რესურსების წარმოების, გატანისა და რეალიზაციის სრულყოფის შესახებ. მიმაჩნია, რომ დაგვიანებულია ღონისძიება, მაგრამ ვიდრე არ გამოიცა კანონი ადგილბრივი მმართველობითი ორგანოების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების შესახებ, რაიონულ საკრებულოს ამის უფლება არ ჰქონდა. ჩვენ შევეცადეთ ამით კონტროლს დაქვემდებურებოდა რაიონიდან ხე-ტყის გატანა, შესაბამისი გადასახდელის გარეშე არ გასულიყო, თუნდაც, ერთი კუბური მეტრი, მეორე ეტაპზე გარკვეულად მიგვეღწია, რომ ხე-ტყის დამზადებარეალიზაციას მისცემოდა კანონიერი საფუძველი, შედეგიც სახეზეა. თუ შარშან ივლისში ბიუჯეტში 23000 ლარი შემოვიდა, წელს ამავე პერიოდში მარტო ხე-ტყიდან 20000 ლარი შემოვიდა. გამოიცა გამგებლის ბრძანება, რომლითაც 1 აგვისტოდან აკრძალულია ტყის ყოველგვარი ჭრა.

გვეყოფა თუ არა პრინციპულობა და ობიექტურობა? მე პირადად ეს ხალხის განსასჯელად დამიტოვებია. ერთი ცხადია ხე-ტყის პატრონად რაიონში, უპირველესად სატყო მეურნება მიმაჩნია და როგორ არ-თმევს თავს ამ მოვალეობას ეს სამსახური, დამდგარი შედეგებიდან უნდა განვსაჯოთ. არანაირი გამართლება არა აქვს აგრეთვე ამდენ მაკონტროლებელს ამ სფერრში.

რატომ მაინცდამაინც ამ სფეროში?

ქონიანია ცოტა და იმიტომ...

__ბ-ნო ზურაბ! გადაწყდა და ჩვენი რაიონი მიეკუთვნა მთის რეგიონს. ამ გაჭირვების ჟამს წამალივით წაადგება ეს ნაბიჯი ლეჩხუმს. გამოვდივარ რა მოსახლეობის ინტერესებიდან; თუ შეიძლება მოკლედ. რა შეღავათებს გვთავაზობს კანონი?

რაც ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო, იმთავითვე ვარ ჩართული. მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ მთას ყველაზე მეტად სოციალური დაცვა სჭირდება და ეს კანონიც ზუსტად გვაძლევს სოციალური დაცვის გარანტიებს. კანონი დღეს ქვეყნდება ჩვენს გაზეთში და მკითხველი შეიტყობს რა დევს კონკრეტულად შიგ. კანონი შეეხება განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, საპენსიო უზრუნველყოფის, სოფლის მეურნეობისა თუ სხვა სფეროებს, შეღავათებს ამ სფეროების მუშაკთათვის. ერთი სიტყვით არ ვაჭარბებ და კანონს მთის გადარმჩენს დავარქმევდი. რაც ყველაზე მისასალმებელია, მასში შორს გამიზნული (50 წლიანი) პროგრამაა ჩადებულ.

მადლობის მეტი რა გვეთქმის.

თქვენ დეპუტატის ბიუროს თავმჯომარეობდით გარკვეული წლები. დღევანდელი პარლამენტისა და პარლამენტარის უფლებამოსილება იწურება. რას გვეტყვით ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატზე, რა გააკეთა მან საერთოდ, და კონკრეტულად ლეჩუხმისათვის?

ბატონ ვალერი გიორგობიანს მე პირადად, როგორც ადამიანი, ვაფასებ იმ გაკეთებულის გამო, რომელსაც ლეჩხუმისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და სამთავრობო სტრუქტურებში გადაწყდა თუ ახლა წყდება. ზემოთ აღნიშნული თანხის დაშვება ტრასფერიდან, რამაც განათლებისა და კულტურის სფეროს შენარჩუნება გამოიწვია, არის რაიონის ხელმძღვანელობის, დეპუტატის, გუბერნატორის, სხვა ლეჩხუმელების აქტიურობის შედეგი. წელს ერთადერთი პრეცენდენტი დაუშვეს ცაგერის რაიონისთვის __ 80000 ლარი; მეორე მომენტია მთის კანონი, რომელშიც ვალერისა და მისი თანაგუნდელების, იგივე მოქალაქეთა კავშირის ღვაწლის დაუნახაობა, უბრალოდ უმადურობაა.

არ ვაჭარბებ და ვალერიმ დიდი როლი ითამაშა საქართველო-ჩეჩნეთის ურთიერთობის ნორმალიზაციაში თავის კაცობით, ქართველობით, გნებავთ სამეგობროთი.

ლეჩხუმშიც არა ერთი სასიკეთო საქმე გააკეთა, რამდენ გაჭირვებულს დაეხმარა

კეთილი მაგრამ ზოგიერთთა აზრით, მდუმარე დეპუტატია, პასუხი?..

მე მიმაჩნია, რომ ყველა გამოჩდენს თავის საქმით და არ მიკროფონით. ვ. გიორგობიანი ახალგაზრდა კაცია, პირველად მოხვდა პარლამენტში და ეს წლები მისთვის იყო სწავლის, გამოცდილების შეძენის, დახვეწის წლები. ერთი შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო__ მას ლეჩხუმის სახელის აბურთავების უფლება არავისთვის მიუცია და არც თავად შეურცხვენია.

იყრის თუ არა ხელმეორედ კენჭს?

ეს თავად ვალერის ჰკითხეთ.

ახალ არჩევნებში მოქალაქეთა კავშირის საკმაოდ რთულ ოპოზიციაში მოუწევს მოღვაწეობა. აღარ გავშიფრავ. რას ფიქრობს ამ დროს მმართველი პარტია?

ფოლადს ცეცხლი აწრთობს, სიმტკიცეს__ წინააღმდეგობა და ბარიერის გადალახვის სურვილი. მოქალაქეთა კავშირი ტრაგედიად არ აღიქვამს, რომ ძლიერი ოპოზიცია ჰყავს. კავშირს პრეზიდენტი თავმჯდომარეობს და პარტიის საქმიანობა ძირითად პრეზიდენტის პოლიტიკაში აისახება. მოსახლეობამ იცის პრეზიდენტის დამოკიდებულება ოპოზიციისადმი, და მეც ბოლომდე ვიზიარებ, რომ ბრძოლამ არ უნდა მიიღოს დაპირისპირების, ბოდიშს ვიხდი და ბინძური ჩარევის ხასიათი. ხაზგასმით ვამბობ, ქვეყანაში მოხდა სოციალური წყობის შეცვლა, ანუ სოციალური რევოლუცია. ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია სტაბილურობის მიღწევა, საქართველოს საერთაშორისო აღიარება და სხვა ისეთი ნაბიჯების განხორციელება, რომელმაც გარკვეული პერსპექტივები დაგვანახა საქართველოს, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი დამოუკიდებელი ქვეყნის განვითარების გზაზე.

რაც შეეხება შეცდომებს, ნაკლს, იმდენი გააჩნია მოქალაქეთა კავშირს, რამდენიც გნებავთ, მაგრამ ამის აღიარებისა პარტიას არ ეშინია. ნუ დაგვავიწყდება__დემოკრატია ასე ადვილად არ შენდება.

ხომ არ დაკარგა რაიონის ინტელიგენციამ, ასე ვთქვათ, ჰეგემონის როლი, პოზიცია, იგი თითქოს ჩრდილშია. რას იტყვით რაიონის ინტელიგენციაზე, მის პოლიტიკურ ხედვაზე?

ჩვენი ინტელიგენცია პასიური ნამდვილად არ არის, ამაში წინა არჩევნებმაც დაგვარწმუნა. მე ერთის მეშინია__ამ გაუსაძლისმა ყოფამ ინტელიგენცია არ მოწყვიტოს რეალობის გრძნობას და შეპირებებს უფრო არ დაუჯეროს, ვიდრე რეალურად გააზრებულ პოლიტიკურ მიმართულებებს. ჩვენი ინტელიგენცია ეს არის ძალა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ყველა, ვინაც იქნება ხელისუფლების სათავეში.

უამრავი შეჭირვებული შემოდის თქვენთან, რა გრძნობა გეუფლებათ, როცა ზოგჯერ ელემენტარულად, ისიც არ ხელგეწიფებათ, თუნდაც კუთვნილი პენსიის თავისდროულ მიღებაში დაეხმაროთ.

მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ვინც ჩემთან შემოდის, თითქმის ყველა ნაცნობი, ახლობელი ან მეგობარია. დღეს საოცრად ბევრს უჭირს და ფაქტიურად ჩვენს დონეზე მათი ყველა პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია. ყველაზე მეტი სადავო, რაც გამაჩნია აღმასრულებელ სტრუქტურებთან, პარტიებთან და თვით პრეზიდენტთანაც კი, ეს არის ფინანსური საშუალებების სამართლიანი განაწილება. არ უნდა არსებობდეს პრივილეგირებული რაიონები.

მაინც რა გაღიზიანებთ ყველაზე მეტად და როდის კარგავთ წონასწორობას?

მაღიზიანებს უსამართლობა და არა ობიექტურობა...

თქვენ არასოდეს გამოგიჩენიათ ან ერთი ან მეორე?

როგორ არა, მაგრამ შემიძლია შეცდომის დანახვაც და აღიარებაც.

ღვთის მადლით, ბევრი მტერი არა მყავს. ემოციური კი ვარ, მაგრამ წყენის ჩადება არ ვიცი გულში.

ღმერთი ახსენეთ. ხართ თუ არა ეკლესიური?

ძალიან მინდა ვიყო. სხვათა შორის მშვენივრად ვერკვევი რელიგიის ისტორიაში, მაგრამ შევიდე ეკლესიაში, ვილოცო ხმამაღლა, ყველა რიტუალი შევასრულო, ეს ბარიერი ვერ გადავლახე. ალბათ, მოვა დრო და ყველა მივალთ იქ, სადაც უნდა მივიდეთ.

__გმადლობთ ინტერვიუსათვის.

* * *

თავმჯდომარის კაბინეტიდან გამოსული მისალებში დახმარების მომლოდინე თვალებს შევეფეთე. ზოგი „ბედნიერი“ ტოვებს აჟურობას თუნდაც იმიტომ, რომ კუთვნილი ერთი თვის პენსია მისცეს, ზოგიც თვალცრემლიანი, რამეთუ არ ეყო საკრებულოს ძალისხმევა მისი პრობლემის მოგვარებას.

რას ვიზამთ. ესაა ჩვენი დღევანდელი რეალობა.

...ხვალე კი ღვთის შეწევნითა და ჩვენი ჭკუა-გონებით უკეთესი უნდა იყოს უთუოდ.

მზევინარ ძნელაძე

ინტელექტუალური გვიწვევს

რაიონის გამგეობის სხდომათა დარბაზში ყოველი თვის ოთხშაბათს ტარდება საზრიანთა და გონებამახვილთა კლუბის ინტელექტუალური შეხვედრები. ჯერჯერობით მონაწილეობს მხოლოდ სამი გუნდი: „ნიკე“, „ბახუსი“ და ბარდნალის ახალგაზრდული ნაკრები.

დღეისათვის ანგარიში ასეთია: „ნიკე“ 6:4, „ბახუსი“ 6:1, ბარდნალა 6:5

ამ საქმის ორგანიზატორი გახლავთ ცაგერის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება (თავმჯდომარე თამილა ჭაბუკიანი). კლუბი ელოდება ახალ გუნდებს, რომლებიც კომპლექტდებიან თავიანთი სურვილით 6 კაცის შემადგენლობით,

კლუბი ეძებს სპონსორს, რომელიც დააფინანსებს საპრიზო ფონდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი, რომელსაც ასე ველოდით

ახდა დიდი ხნის ოცნება. მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმად ცაგერის რაიონი მაღალმთიან რეგიონს მიეკუთვნა.

დიდ სიკეთეს მოველით ახალი კანონისგან. კანონის მიზანია რაიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის უზრუნველყოფა, მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის შეჩერება, ადგილობრივი რესურსების ამოქმედება, დემოგრაფიული სიტუაციის მართვა, დაცლილი სოფლების, რეანიმაცია, ტურიზმის, ტრადიციული შინარეწვის ბიზნესის განვითარება და ა.შ.

აქვე ვბეჭდავთ კანონებს, რომლებიც შეღავათებს გვთავაზობს.

საქართველოს კანონი

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1973 წლის ივნისი, №6, მუხ. 118) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-80 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 ნაწილი:

„1. მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე განლაგებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა და უწყებებში, აგრეთვე მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დასაქმებულ პირთა ხელფასებზე და პენსიებზე წესდება დანამატი 50%-ის ოდენობით".

2. 235-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ" ქვეპუნქტი:

!გ) იმ პირთათვის, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ან არანკალებ 10 წლისა უწყვეტად უმუშავიათ მაღალმთიან რეგიონში, საპენციო ასაკი მცირდება ხუთი წლით"

II. ეს კანონი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი,
1999 წლის 9 ივნისი.

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №32, 24 ივლისი 1997) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. 43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) პირი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან, თუ მისი წლიური შემოსავალი 3000 ლარზე ნაკლებია, ხოლო ერთ და ორშვილიან პირს საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50%-ით.

2. 47-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ" და „ლ" ქვეპუნქტები:

„კ) ენერგიის განახლებადი წყაროების (მზის, ქარის, გეოთერმული, ბიომასის ენერგია და ჰიდროენერგია) ასათვისებელი მოწყობილობებისა და ენერგოდამზოგი საშუალებების (ენერგოდამზოგი ნათურები) წარმოებით და რეალიზაციით მიღებული მოგება;

ლ) მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო საწარმოების მოგება".

3. 98-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი:

„5. თუ მაღალმთიანი რეგიონი მდებარეობს 1500 მეტრის ზევით და მის ტერიტორიაზე გადის მაგისტრალური გზსადენი, ამ რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის სუბსიდირება ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე".

4. 143-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ" ქვეპუნქტი:

„კ) მაღალმთიანი რეგიონის ტერიტორიაზე არსებული საწარმოებისა და მუდმივად მცხოვრებ ფიზიკურ პირთა ქონება".

5. 158-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ" და „ს" ქვეპუნქტები:

„რ) ენერგიის განახლებადი წყაროების (მზის, ქარის, გეოთერმული, ომასის ენერგია და ჰიდროენერგია) ასათვისებელი მოწყობილობებისა და ენერგოდამზოგი საშუალებების (ენერგოდამზოგი ნათურები) წარმოებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთები;

ს) „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე განლაგებული რეგიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი, ხოლო სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მიწის გადასახადი უმცირდებათ 50%-ით".

II. ეს კანონი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე
თბილისის
1999 წლის 9 ივნისი.

საქართველოს კანონი

„ჯანმრთელობის დაცვის შეახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში პარლამენტის უწყებანი №47-48 11121997) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. 47-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„მაღალმთიან რეგიონებში ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მომუშავე სამედიცინო პერსონალს ეძლევა ხელფასის დანამატი ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით, 1200 მეტრამდე—50%, ხოლო 1200 მეტრის ზევით—70%.

2. მე-60 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. მაღალმთიან რეგიონებში ჯანმრთელობის დაცვა უფასოა და ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე სახელმწიფო უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში სამედიცინო დაწესებულებათა შენარჩუნებასა და განვითარებას. პარალელურად დაიშვება კერძო სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების რეალიზაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით".

3. 64-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო მიზნობრივად აფინანსებს ჩიყის და სხვა ენდოკრინული დაავადებების პორფილაქტიკისა და მკურნალობის პროგრამებს".

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო პირველი პუნქტი—2000 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი,
1999 წლის 9 ივნისი.

საქართველოს კანონი

„განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „განათლების შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №33, 31, ივლისი, 1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 და მე-10 პუნქტები:

„9. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში დაწყებით და საბაზო განათლებასთან ერთად საშუალო ზოგადი განათლებაც უფასოა და ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე.

10. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსწავლეები, რომლებიც საცხოვრებელ ადგილზე შესაბამისი სასწავლებლის არარსებობის გამო სწავლობენ იმავე რაიონის ქვედა ზონის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, თავისუფლდებიან სწავლის საფასურის გადახდისაგან", ხოლო მე-9-13 პუნქტები ჩაითვალოს შესაბამისად მე-11-15 პუნქტებად.

2. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 და მე-12 პუნქტები:

„11. მაღალმთიანი რეგიონების საშუალო სასკოლო პროგრამები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ეკოლოგიურ განათლებას.

12. მაღალმთიან რეგიონებში საბაზო და საშუალო ზოგადსაგანამანათლებლო სკოლებში სამხედრო მომზადების გაკვეთილები ტარდება მეშვიდე კლასიდან საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამუშავებული და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა, და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებული საგანმანათლებლო პროგრამით".

3. 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. მაღალმთიან რეგიონებში" ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად განსაკუთრებულად აკონტროლებენ მაღალმთიანი რეგიონების სასკოლო ასაკის მოზარდი თაობისა და მოსწავლეთა კონტინგენტის დარიცხვას, აგრეთვე სასწავლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი განვითარების შესახებ სტატისტიკური და საინფორმაციო მასალების მოპოვებასა და შეკრებას".

4. 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

„7. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოფლებში, დაბებსა და თემებში, თუ არსებობს 3 მოსწავლე დაწყებითი სკოლისათვის, 6 მოსწავლე—საბაზო სკოლისათვის და 21 მოსწავლე—საშუალო სკოლისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იქმნება დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

8. მაღალმთიან რეგიონებში ადგილობრივი შინარეწვის ტრადიციათა გათვალისწინებით, პროფესიული განათლების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ქმნის სახელობო სასწავლებლებს, ხოლო თუ ასეთი სასწავლებლის შექმნა შეუძლებელია, შინარეწვის ტრადიციების სწავლება გაითვალისწინება სასკოლო პროგრამებში".

5. 33-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. მაღალმთიან რეგიონებში განათლებისა და სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებს უნარჩუნდებათ ეზოები და სასწავლო საცდელი ნაკვეთები".

6. 38-ე მუხლს დაემატიოს შემდეგი შინაარსის მე-2-4 პუნქტები:

„2. საქართველოს განათლების სისტემაში მომუშავე მაღალმთიანი რეგიონების პედაგოგებს, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მუშაკებს ეძლევათ ხელფასის დანამატი ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით, 1200 მეტრამდე—50%, ხოლო 1200 მეტრის ზევით—70%, აგრეთვე უწესდებათ კომუნალური შეღავათები.

3. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების პენსიონერ მასწავლებლებს ხელფასთან ერთად მიეცემათ პენსია სრული ოდენობით.

4. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის მუშაკებს სახელმწიფოს დაკვეთით უტარდებათ მიზნობრივი მომზადება.", ხოლო პირველი აბზაცი ჩაითვალოს პირველ პუნქტად.

II. ეს კანონი ამოქმედდეს 1999 წლის 1 სექტემბრიდან, ხოლო პირველი მუხლის მეექვსე პუნქტით გათვალისწინებული 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი—2000 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი,
1999 წლის 9 ივნისი.

ცაგერის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულება

რაიონში ბუნებრივი რესურსების წარმოების, გაგანის და რეალიზაციის მექანიზმის სრულყოფის შესახებ

ითვალისწინებს რა იმ დარღვევებს, რომლებიც ხდება რაიონში ბუნებრივი რესურსების წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში, იმას, რომ ბიუჯეტში სათანადოდ ვერ აღირიცხება ყველა გადასახდელი, ამასთანავე დაუბეგრავია ბევრი სამეურნეო სუბიექტი, ადგილი აქვს უკანონო ჭრის სხვადასხვა მაკონგროლებელი და შემმოწმებელი ორგანოების დუბლირებისა და არაკომპეტენტურობის ფაქტებს, რაიონიდან არარეგისტრირებული ხე-ტყის გატანის შესაბამისი მოქმნილი მექანიზმის არარსებობის გამო შეუსრულებელი დარჩა რაიონული გამგეობისა და რაიონული საკრებულოს კანონიერი დადგენილებების მოთხოვნები „აღვილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის I პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის მე-12 მუხლის I პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების, მე-14 მუხლის I პუნქტის „დ" და „ვ" ქვეპუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

—დაუშვებლად ჩაითვალოს რაიონიდან ხე-ტყის (მორი, დახერხილი მასალა, ნახევარუაბრიკატი) გატანა თუ არ იქნა რაიონული საკრებულოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ნებართვა წარმოდგენილი ფორმით (თან ერთვის)

—პოლიციის რაიონულმა განყოფილებამ (ბატ. მ. მეშველიანი) უზრუნველყოს ალპანის და ოყურეშის გამშვებ პუნქტებზე კონგროლის გაძლიერება, კატეგორიულად აღკვეთილი იქნას ამ პუნქტებზე ხე-ტყის გატანა საკრებულოს შესაბამისი ნებართვის გარეშე, გაგრძელდეს გამშვებ პუნქტებზე რეგისტრაცია პოლიციის განყოფილების დადგენილი ფორმით.

—რაიონული საკრებულოს ნებართვა ჩაითვალოს როგორც აღრიცხვის დოკუმენტი, მიენიჭოს შესაბამისი ნომერი და გატარებული იქნეს დანომრილ და ზონარგაყრილ წიგნში.

—ჩაითვალოს, რომ რაიონული საკრებულო ნებართვას იძლევა ხე-ტყის რაიონს გარეთ გატანასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (საგადასახადო ქვითრები, ანგარიშფაქტურა, ხე-ტყის საჭრელი ბილეთები და სხვა) სრულყოფილი წარმოდგენის შემთხვევაში.

—საგადასახადო ინსპექციამ (კ. კოპალიანი) საგადასახადო კოდექსიდან და სხვა საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა სამეურნეო სუბიექტისა და მეწარმის შესაბამისი საგადასახადო დაბეგვრა და თანხების მობილიზაცია ბიუჯეტში.

—სატყეო მეურნეობის დირექციამ (გ. ლეთოდიანი), ეკოპოლიციამ (გ. კოპალიანი) ბუნების დაცვის სარაიონთაშორისო სამსახურთან (თ. კოპალიანი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შესაბამისი კანონიერი მოთხოვნების შესრულებას, რომელიც გამორიცხავს უნებართვო ჭრას, ხე-ტყის არასწორ მოპოვებასა და დამზადებას.

—აგრარულ-ეკონომიკური, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიამ საკრებულოს სხდომისათვის წარმოადგინოს წინადადებები ამ მექანიზმის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ, ხოლო ამ/წლის აგვისტოში გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთად დეტალურად შესწავლილ იქნეს რაიონში ხე-ტყის დამზადების კანონიერების საკითხები.

—კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს საკრებულოს მდივანმა (დ. სვანიძე), რომელმაც ყოველკვირეული წერილობითი ინფორმაცია წარმოუდგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს.

—განკარგულება ამოქმედდეს 1999 წლის 5 ივლისიდან.

1 ივლისი, 1999 წელი.
ქ. ცაგერი.

აფხაზეთი_ჩვენი ტკივილიანი იარა

ყოველი ჩვენი დღე წარსულს ბარდება თავისი სიხარულითა თუ ტკივილით. წარსული კი წარსულად არ რჩება, ის მუდამ თავს გვახსენებს და გვიორკეცებს გადატანილი დღეების ავსა თუ კარგს.

საქართველოს არაერთი ტკივილიანი და მწარე დღე ახსოვს, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ცეცხლითა და მახვილით იგერიებდა მომხდურ მტერს და ჯაჭვგაუხდელი იცავდა მშობლიური მიწის თითოეულ გოჯს.

უსასრულო შეიქმნა ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ისტორია. თითქოს განგებამ მოგვისაჯა გვეტარებინა მძიმე ჯვარი. ოდითგან ყოფილა ასე, ჩვენი წინაპარი სისხლის ფასად აერთიანებდა მტრისგან წაგლეჯილ ტერიტორიებს, რომ შეენარჩუნებინა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. მარტო დავით აღმაშენებელი კმარა, რომელმაც ხმლით შემოხაზა საქართველოს საზღვრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. ასე გადადიოდა, და მოდიოდა და მოდიოდა...

ჩვენი ერის ცრემლიან—სისხლიან ისტორიას კიდევ ერთი ტკივილიანი ფურცელი მიემატა აფხაზეთი—ჩვენი ბიჭების დაუხუჭავი თვალები, დაუტირებელი საფლავები, დანგრეულ-გაპარტახებული სოფლები, ძმათა სისხლით მორწყული უძველესი მიწა ქართული. ეს არის მშობელი ბუდიდან აყრილი და ჭუბერის უღელტეხილზე გადაჩეხილი არა ერთი სიცოცხლე, ომი უაზრო, ომი ძმათაკვლის.

დაღუპული ბიჭების უმანკო სისხლი ზეცას შესჩუხჩუხებს და გვაფრთხილებს: კიდევ არ დაიღვაროს ძმათა სისხლი, მხოლოდ სიყვარული, სიყვარული შეგვარიგებს და გადაგვარჩენს...

ეკა ყვირილიანი

ავთანდილ სილაგაძე
...და მაინც ვალში ვგრძნობ თავს

დაიბადა 1954 წელს ქ. ცაგერში. 1971 წელს დაამთავრა ა. ვ. გელოვანის სახელობის ცაგერის საშუალო სკოლა. 1977 წელს კი – უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. ასპირანტურა – 1980 წელს. ასპირანტურაში სწავლის დროს დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია. 1989 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1980-92 წლებში თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მუშაობდა შემდეგ თანამდებობაზე: მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. 1986-92 წლებში არის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი. 1992 წლის მარტში 1992 წლის ნოემბრამდე გადაყვანილი იქნა და დაინიშნა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარედ. 1992 წლის ნოემბერში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრად, სადაც მუშაობდა 1998 წლის აგვისტომდე. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის რამდენიმე წიგნისა და მონოგრაფიის. არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, ამერიკის შეერთებული შტატების (კალიფორნია) საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად. რუსეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ნიუიორკის აკადემიის აკადემიკოსად. ამჟამად ი.ჯ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ბატონო ავთანდილ! ჩვენთვის, ლეჩხუმელთათვის, ცნობილია, რომ თქვენ მონაწილეობთ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ცაგერის რაიონიდან. შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს?

გადაწყვეტილი მაქვს კენჭი ვიყარო მომავალ არჩევნებში.

– თქვენის აზრით, რას ნიშნავს იყო პარლამენტის წევრი?

პარლამენტის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს თავისი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე. მე გამაჩნია ჩემი კონცეფცია საქართველოს ეკონომიკის მომავალი განვითარების შესახებ. ეს მოიცავს სხვადასხვა სფეროს – როგორც საფინანსო, საბიუჯეტო, ასევე საგადასახადო, საბაჟო საკითხებში, ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის პრიორიტეტების შესახებ, ქონების ტრანსპორტირების თაობაზე... ბუნებრივია, დეპუტატი უნდა იყოს რაიონის რთული პრობლემების გადამწყვეტი, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება, რამეთუ იგი პარლამენტის წევრია და მონაწილეობა უნდა მიიღოს ეკონომიურ, იურიდიულ კანონპროექტებში. მაქვს ჩემი პროგრამა იმაზე, მთლიანად რა შეიძლება გაკეთდეს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის საბოლოოდ დამკვიდრების თვალსაზრისით.

– მოსახლეობის უმრავლესობა იმედს ამყარებს ამ არჩევნებზე. თქვენი დეპუტატობა რას მოუტანს ხალხს?

გადაწყვეტილი მაქვს კენჭი ვიყარო, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა. მაჟორიტარი დეპუტატი, პირველ ყოვლისა, უნდა ერკვეოდეს რაიონის პრობლემებში. დღეს უმთავრესი პრობლემა ჩვენთან ხელფასებისა და პენსიების საკითხია. ვფიქრობ, ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია და ალბათ, გარკვეულ როლს ვითამაშებ უახლესი ერთი თვის განმავლობაში. გარდა ამისა რაიონს დახმარება უნდა აღმოუჩინო ბიუჯეტის შედგენა-ფორმირებაში. არის პრობლემები გაზათლების, კულტურის, სპორტის და სხვა სფეროებში. შესაძლებელია გარკვეული დახმარების გაწევა. ვფიქრობ, დავეხმარო მშობლიურ ცაგერის სკოლას, კულტურის სახლს მის მუშაკებს, ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მშენებლობას. შეუძლებელია ყველა პრობლემის ჩამოთვლა, დახმარება გზადაგზა შემდგომში გამოჩნდება.

– თქვენ ბრძანდებით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი. შეგეძლოთ თუ არა ამ პერიოდში რაიონისათვის გაგეკეთებინათ სასიკეთო რამ და თუ შეგეძლოთ, კონკრეტულად რა გაუკეთეთ.

მე მინისტრი ვიყავი და დახმარება უნდა გამეწია არა მარტო რაიონისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. ის რომ შესაძლებელი იყო გამეკეთებინა თუ არა სასიკეთო საქმე, მე ეს გავაკეთე, მაგრამ ყოველთვის ვერიდებოდი არ მოყოლოდა რაიმე მითქმა-მოთქმა, 500 ათასი ლარი გადმოირიცხა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონისათვის და ეს იყო საჩუქარი. დიდი ნაწილი აქედან გამოიყენა ჩვენმა რაიონმა. იყო სხვა კონკრეტული დახმარებაც, მაგრამ უმჯობესია თქვას, იმან ვინაც ეს დახმარება იგრძნო.

– თქვენი მინისტრობის დროს გაიქცა დაუკონკრეტებელმა ფრაზებმა, (ყველ შემთხვევაში ჩვენთვის ასეა ცნობილი) რომ ბრალი გედებათ გარკვეული ოდენობის თანხის სახელმწიფოსაგან მითვისებაში. გთხოვთ, ნათელი მოჰფინოთ ამ საკითხს და გაგვცეთ გულახდილი პასუხი.

– არ არსებობს არავითარი დოკუმენტი ან ფაქტი, რომელიც ამას დაადასტურებს. ეს არის მოგონილი. მე მოხარული ვიქნები, თუ კი მკითხავს ის, ვინც ამ საქმით არის დაინტერესებული, რომ პირადად გავცე პასუხი.

თქვენ ჩამოიტანეთ სამშენებლო მასალა. კონკრეტულარ რომელი ორგანიზაციისათვის არის განსაზღვრული ეს მასალა.

სამშენებლო მასალები კი მართალია, მე ჩამოვიტანე, მაგრამ შეძენა მოხერხდა ახლობელ მეგობართა ხელშეწყობით და ჩაბარდა რაიონს. თვით რაიონის გამგეობა გადაწყვეტს რომელ სკოლას მისცეს. მე მგონი გადაეცემა ცაგერის საშუალო სკოლას. მე შეპირებული ვიყავი ამ სკოლაზე მიეღოთ რესტავრაციის თანხა, მართლაც, ბიუჯეტში ჩაისვა დაახლოებით 115 ათასი და ეს გამოყენებული უნდა ყოფილიყო სკოლის და კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოებისათვის. გაურკვეველი მიზეზების გამო ეს თანხები ვერ იქნა მიღებული და ბუნებრივია, არ მოხმარდა დანიშნულებისამებრ. თუ ჩემი სიტყვა შევასრულე, მაგრამ მაინც ვალში ვგრძნობ თავს. ახლა მე მგონი, შესრულდება.

გავრცელებულია ხმა, რომ აპირებთ ცაგერში ი.ვ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნას (მოსამზადებელი განყოფილება). რას გვეტყოდით ამის შესახებ?

ეს ჯერ-ჯერობით არის ლაპარაკის დონეზე, მომავალში, თუ კი საშუალება იქნება, შევეცდებით პრაქტიკულად გადაწყდეს.

ხართ თუ არა სმკ წევრი. როგორ დაახასიათებდით ამ პარტიას, როგორც პოლიტიკურ ძალას.

მე არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ. ვარ მხარდამჭერი მოქალაქეთა კავშირისა და ლემის. ვიყავი მხოლოდ ერთი, კომუნისტური პარტიის წევრი.

თქვენი დამოკიდებულება საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.

მე ბედნიერი და კმაყოფილი ვარ, რომ 6-7 წლის განმავლობაში მასთან მომიხდა მუშაობა, ბევრი ამ შევიძინე და თავს ვთვლი მისი გუნდის წევრად.

ბატონო ავთანდილ! თქვენ სკოლა დამთავრეთ ცაგერში. გაგვიგია თუ არა მეგობარი, რომელთანაც გულღია, უშუალო ურთიერთობა გაქვთ და ბოლომდე ენდობით მას.

მყავს სიყრმის მეგობარი, ჩემი კლასელი გიორგი კობალიანი (კონტროლის პალატის სამმართველოს უფროსი), მართლაც ბოლომდე ვენდობი და მენდობა.

შეგიძლია თუ არა საკუთარი შეცდომების დანახვა და გაკიცხვა თუ არა ვაქციაცობა მათი აღიარებისათვის?

ვისაც ძალა არ ჰყოფნის საკუთარი შეცდომების აღიარებისა, ის არც გონიერია და არც ვაქციაცი. თუ ამას არ გააკეთებ, ძალიან გაგიჭირდება ცხოვრებაში. არ არსებობს შეუმცდარი ადამიანი.

რას უსურვებდით გაზეთ „ახალ ლეჩხუმს“ და მის კოლექტივს.

პირველ ყოვლისა, გილოცავთ გაზეთის დაარსებას მთელს კოლექტივს. მინდა მივესალმო ამ სასიკეთო ნაბიჯს. ბევრგან რაიონებში გაზეთი არ გამოდის. თუ რაიმეს შევძლებ, ვეცდები, ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო ამ გაზეთის არსებობაში.

...და ბოლოს, გაქვთ თუ არა არჩევნებში თქვენი ხალხის, ლეჩხუმელების თანადგომის იმედი.

ეს უნდა გადაწყვიტოს ლეჩხუმელმა ამომრჩეველმა. მე მაქვს მისი თანადგომის იმედი. გადაწყვეტილი მაქვს ვეწვიო თითქმის ყველა სოფელს, გავიგო ადამიანთა ჭირ-ვარამი. მათაც ექნებათ საშუალება გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ჩემს მიმართ.

ჩვენი საუბრიდან კარგა ხანი გავიდა. ამ ხნის მანძილზე მან მოახერხა რაიონისათვის დახმარების გაწევა. დაპირება დაპირებად არ დარჩენილა, უკვე დაიწყო წყალტუბო-ცაგერის გზის კაპიტალური და ორმოული შეკეთება. მიმდინარეობს ცაგერის სკოლის სარემონტო სამუშაოები და სკოლა 1 სექტემბრისათვის სრულ მზადყოფნაში იქნება. მისი ჩარევით მიღწეულ იქნა ერთი თვის ხელფასისა და პენსიის გადმორიცხვა (თანხა 125 ათასი ლარი) რაიონის მოსახლეობისათვის, რომელიც უკვე დარიგდა. იმედია, მრავალ სასიკეთო საქმეს კვლავ ჩაუდგება ბატონი ავთანდილი

ნანა ახვლედიანი.

ეტიკეტი ანთი ეროვნული ეროვნული ქალბატონის პოლიტიკისათვის

სკოლის წლები იმდენად დასამახსოვრებელი და ტკბილად მოსაგონარია, რომ ცხოვრების ყველაზე გრძელ ხანად შეიძლება ჩაითვალოს. სკოლაა ის წმინდა სავანე, სადაც ბევრი რამ უნდა შეიძინო, რაც მეტს შეიძენ, მით უფრო გაგიოლდება ცხოვრება, მისი ასპარეზის დასაწყისში საკმაოდ ბევრი გეცოდინება.

ეაცილებით მეტი შეიძლება ითქვას მასწავლებელზე, ბევრი თქმულა კიდეც, ბევრიც არ თქმულა. მე კი დღეს მხოლოდ თქვენზე ვიტყვი, ძვირფასო ლალი მასწავლებელო! ლალი ჩიქოვანი—ცაგერის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ღირსეული მეუღლე და ორი ვაჟკაცის დედა.

კეთილ ფერიასავით სწორედ მაშინ მოგვეელინა, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდა მეც, ჩემს თაობას, ჩემზე ცოტა უფრო თაობას და უცილობლად მომავალსაც. ეს იყო 1986 წელი.

ლალი მასწავლებელმა სრულიან განსხვავებული სტილი დაამკვიდრა. იმ პერიოდისათვის საკმაოდ თამამი აზრით, სიტყვით, თამამი გაკვეთილებით და რაც მთავარია, ხალისით, პირადად ჩემთვის ქართული ლიტერატურა და ლიტერატურული ცხოვრება ცხოვრების წესად აქცია. ლამაზი ფრაზები, აკროსტიხები თუ თავისუფალი თემები იყო საოცრად საინტერესო, მიმზიდველი, მისი ყოველი გაკვეთილი და თავად ლალი მასწავლებელი გახლდათ ჩვენთვის იდეალი და ეტალონი.

ლალი მასწავლებელო! თქვენ იყავით ჩემთვის ის უსაყვარლესი პედაგოგი, რომელმაც ქალბატონ ზაირა იოსელიანისა და აწგანსვანებულ ქალბატონ მაყვალა ყურაშვილისაგან შექმნილ მყარ საფუძველზე მშობლიური ენისა და ლიტერატურის დიდი სიყვარული დააშენა. თქვენი დამსახურებაა, რომ ჟურნალისტობა საუკეთესო პროფესიად ჩავთვალე და ისიც, რომ გაგაცება გაგაცებად არ დავგოვე.

თითქმის სიტყვასიტყვით მახსოვს ის, რაც თქვენს გაკვეთილებზე მომისმენია: ვეფხისტყაოსნის თქვენეული, დიდბუნებოვანი განმარტებები თუ შუშანიკ დედოფლის წამება, რომანტიკოსების მოღვაწეობა თუ კონსტანტინე გამსახურდიასა და გალაქტიონის შემოქმედება.

ჩვენ მოსულ ლეგენდარულ მეცნიერ-ეკონომისტ, ტექსტის კითხვას რომ დაიწყებდით განსაკუთრებული მხატვრულობით და თანაც საოცარი სითბოთი. ჩემთვის, პირადად, არ არსებობდა სხვა რამ, გარდა იმისა, რომ მეცქირა თქვენთვის. ახლაც თვალნათლივ მახსოვს ყველა შტრიხი თქვენი იმდროინდელი პორტრეტიდან... თუნდაც საყურითა და ბეჭდით დამთავრებული.

გვიბრაზდებოდით კიდეც ხანდახან, განა არ გვიბრაზდებოდით? მაგრამ ეს გაბრაზება არასოდეს არ იყო უტაქტო, უხეში, სამაგიეროდ, იყო შედეგიანი. ჩვენ ვცდილობდით მეტად აღარ გაგვემეორებინა იგივე შეცდომა,

არც ის დამივწყებია, ბოლო მარზე ასეთი სიტყვები რომ წამიწერეთ წინსაფარზე: „ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის“—შენთვის კი მთელი შენი ლამაზი სიცოცხლეაო“. როგორც მოსწავლეს, უჭკუოდ არ მთვლიდით, ამდენად, მივხვდი, რომ სხვა ჭკუისაკენ მიმანიშნებით, ქალური ჭკუისკენ, მომავალში რომ უნდა გამომეჩინა. თქვენმა ამ დარიგებამ, მისმა შესმენამ დამანგრეველი ძალა შემძინა, დაგიჯერეთ და არც მინანია. ამიტომაც, ჩემს თქვენდამი სიყვარულს დასაწყისი ჰქონდა, მაგრამ დასასრული არ ექნება სიყვარულს, რომლის მეტად გამომეღავნებაშიც დღესაც ერთმანეთს ვეცილებით მე და ჩემი თანაკლასელები.

თითქოს ჯერ ადრეა, მაგრამ აგვისტოს აუცილებლად მოჰყვება სექტემბერი. ამდენად, თავს უფლებას მივცემ და ნაადრევად მოგილოცავთ დამდეგ პირველ სექტემბერს თქვენც და ჩვენი სკოლის დიდებულ პედაგოგებსაც, გისურვებთ ბედნიერ და სასიამოვნო წელს.

ჩემი სიტყვების ამ კომბინაციამ, ნებით თუ უნებლიედ, ღია წერილის ფორმა მიიღო. დე, იყოს ასე. ვფიქრობ, არაფერი დაშავდება. გნებავთ, თავისუფალ თემად ჩათვალეთ, ლალი მასწავლებელო, ჩემო ძვირფასო, მოსაფერებელო ქალბატონო, ოღონდაც რომ წაიკითხავთ, ნუ იქნებით ძალზედ კრიტიკული, მე ხომ ძალიან, ძალიან მინდა დღეს თქვენგან მხოლოდ ფრიადი დავიმსახურო.

თამარ დავითულიანი.

ქველმოქმედება არასოდეს არ არის გვიან...

ლამაზი და ამაღლებული გარემო სუფევდა იმ დღეს ცაგერის სარაიონო კულტურის სახლში. მაყურებელი სულმოუთქმელად ელოდა საოცრად ნიჭიერი მომღერლებისაგან შემდგარი ახალი ანსამბლის „სალაღობო“-ს პრეზენტაციას. განწყობილებას კონცერტის მიწაარსიც განაპირობებდა—საქველმოქმედო გახლდათ და ღონისძიებაზე შემოსული თანხა მთლიანად ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის აღდგენითი სამუშაოებისათვის იყო გამიზნული. ქალაქის ქუჩებში წინასწარ გაკეთებული რეკლამები კი იმასაც გვამცნობდნენ, რომ ამ საშურ საქმეში ჩვენს გვერდით იდგა ლენტეხის სარაიონო კულტურის სახლთან არსებული ჯოკია მეშველიანის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ლილე“ (ხელმძღვანელი გ. ლიპარტელიანი)

სცენიდან, თვით კულტურის განყოფილების გამგის, დათო სანთელაძის მიერ ლადო ასათიანის „სალაღობოს“ წაკითხვის შემდეგ მსმენელი ემოციებს ვეღარ მალავდა, ხოლო ზაზა ყურაშვილის, ნარგიზა ალავიძისა და რუსუდან ყურაშვილის ხელდასმით შექმნილი ანსამბლ „სალაღობოს“ დებიუტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და სიხარულნარევი ცრემლიც მოჰგვარა მრავალ ჩვენგანს. ჟღერდა ქართულ ხალხური თუ ლირიკული სიმღერა და ანსამბლის თითოეულ წევრს თუ მის უდავოდ ნიჭიერ ახალგაზრდა ხელმძღვანელს ზაზა ყურაშვილს მადლიერებითა და სიყვარულით ავსებდა დარბაზიდან წამოსული დადებითი მუხტი და იმპულსები. ანსამბლი „სალაღობო“ სულ რაღაც ერთი წელია შეიქმნა და რამდენად ფასობს თუნდაც ის ფაქტი, რომ თავიანთი პრეზენტაცია ქველმოქმედებით დაიწყეს. იგი „სოფლმშენკომპლექსთან“ (ხელმძღვანელი სოსო თვარაძე) არის ჩამოყალიბებული და მომავლის საკმაოდ საინტერესო გეგმებიც აქვს.

არაჩვეულებრივ ცეცხლსა და ტემპერამენტს ანთებდნენ სცენაზე სვანი მეზობლები. ანსამბლი „ლილე“ კიდევ ერთხელ ჩაწვდა მთის კაცის ზვიადი ბუნებით, სვანური ცეკვითა და სიმღერით ჩვენს გულებს და თავიანთი ხელოვნებით აღგვაფრთოვანა.

რაოდენ სასიხარულო იყო იმის შეგრძნება, რომ დღეგანდელ შეჭირვებულ ყოფაში ბევრ თანამემამულეს თუ დარბაზში მყოფ სტუმარს, ეყო ღვთის სიყვარული, სათნოების შეგრძნება, რათა გაეღოთ მოწყალება და ჩვენი ეკლესიის რესტავრაციაში თავისი წვლილი შეეტანა. უდავოდ მადლობის ღირსი არიან ბატონები დავით ჩხეტიანი (100 ლარი), ნიკა მურღულია (50 ლარი), გოჩა დარახველიძე (50 ლარი), „სოფლმშენკომპლექსის“ თავკაცი სოსო თვარაძე (50 ლარი), ელექტროკავშირის ხელმძღვანელი გაიოზ მუშკუდიანი (30 ლარი) და სხვა მრავალი, ვინც არა მარტო იმ დღეს მიიღო მონაწილეობა ამ საქველმოქმედო ღონისძიებაში, არამედ ისინიც, ვინც თუნდაც მცირეოდენი წვლილი მაინც შეიტანა და მომავალშიც ფიქრობს ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის აღდგენა-რესტავრაციის საქმეში თავისი წილის წარმოჩენას.

საქველმოქმედო კონცერტზე თავიანთი მოსაზრებებით გამოვიდნენ რაიონული საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ ხეცურიანი, ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღოლი, მღვდელი მამა გიორგი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ომარ ჭაბუკიანი.

დარბაზი დავტოვეთ ლამაზი განწყობით და ბედნიერი ხვალის იმედით.

ქველმოქმედება არასოდეს არ არის გვიან. გაიღეთ მცირეოდენი მოწყალება და ღმერთი ყველას მოგაგებთ სიკეთისათვის.

მარინა სვანიძე.

...„სხეული მმარხველისა არ ბატონობს გონებაზე“...

მარიამობის მარხვა

სულ რამდენიმე დღე და დაიწყება მარიამობის მარხვა, რომელიც იწყება 14 აგვისტოს და გრძელდება ორ კვირას, 28 აგვისტომდე. მარხვის დასასრულს კი ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს —მის მიძინებას. მაგრამ ვიდრე ამ დღესასწაულზე ვისაუბრებდეთ, მინდა ორიოდე სიტყვით განვმარტო რა არის მარხვა, რა მნიშვნელობა აქვს მას და როგორ ვიმარხულოთ.

მარხვა „გუშინდელი“ დადგენილი არ არის. ეს ჩვეულება, როგორ ბასილი დიდი ამბობს „ძველთაძველია, ვითარცა კაცობრიობა“. მარხულობით ადამიანს ეძლევა საშუალება სინანულით, თავშეკავებით, სიკეთის ქმნით, მიწიერი ცხოვრების ბორკილებისაგან ნაწილობრივ გათავისუფლდეს და სულიერად გაძლიერებული მიეგებოს უდიდეს დღესასწაულს.

მარხვა ჯერ კიდევ სამოთხეში დაუწესა ღმერთმა ადამს და ევას, როცა აუკრძალა ვაშლის ხის ნაყოფის ჭამა. თავად ქრისტემ, „რომელიც ჯვარს ეცვა“ ჩვენი ცოდვებისათვის, უდაბნოში 40 დღე იმარხულა და განაგო საგანა.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი მარგო თიხისაგან მოზელილ სხეულს როდი წარმოადგენს, არამედ მას უკვდავი სული აქვს მინიჭებული. სულის უკვდავებისათვის და ცხონებისათვის აუცილებელია სულსა და ხორც შორის ჰარმონია. ჰარმონია კი მათ შორის მარხვით აღდგება. წმიდა მამები გვასწავლიან, რომ „მმარხველის სხეული ჰგავს გონიერ ცხენს, რომელიც მხედარს არასოდეს არ გადმოაგდებს, რადგან ლაგამამოდებული მორჩილი დამთმობია ჰაგრონის ხელში, ასევე სხეული მმარხველისა არ ბაგონობს გონებაზე და არც ჭიხვინებს ენებამორეული ცხენივით“.

XX საუკუნე ხომ ღვთისაგან განდგომილების ეპოქაა და მრავალნი „კუჭით აბროვებენენ“ და სგომაქს დამონებული ენებათა მორევში იძირებიან. ასეთი ადამიანები საბრალონი არიან, მით უფრო, როცა არ იციან, რომ მხოლოდ ხორციელი საკვებისაგან თავის შეკავება სრულებით არ ნიშნავს მარხვის დაცვას. „მარხვა —დედაა უბიწოების და თუ მმარხველი სინანულითა და გულის შემუსრვილებით არ განიმსჭვალება, მარგოოდენ დიეტაა“— გვასწავლის ერთ-ერთი წმიდა მამა და აქედან გამომდინარე, საჭმლისაგან თავშეკავებასთან ერთად, აუცილებელია სულიერი მარხვა. სულიერ მარხვაში კი იგულისხმება ეკლესიური ცხოვრება. ადამიანმა რომ ეკლესიურად იცხოროს უნდა ჰყავდეს სულიერი მოძღვარი, აღასრულოს გულწრფელი აღსარება და ზიარება.

წმიდა ეკლესიამ დაადგინა სწორი მარხვა (და არა შიმშილი), რაც მდგომარეობს შემდეგში: საჭმელი უნდა მივიღოთ მცენარეული ან ზეთზე დამზადებული. გვეკრძალება ხორცი, რძის ნაწარმი და თევზი. თევზით ხსნილი არის მხოლოდ ფერსიცვალების დღესასწაულზე. საზრდელის ზომიერად მიღება სხეულს სიმრთელეს ანიჭებს. ჭეშმარიტი საზღვარი მარხვისა წმიდა მამებმა ასე დაადგინეს: საჭმელი იქამდე უნდ მივიღოთ, რომ ჯერ კიდევ გშვიოდეს და გული ისევ ჭამას გვეუბნებოდეს. ამაზე ამბობს მოციქული: „ნებასა ხორცთასა ნუა ჰყოფ გულის სათქმელად“.

ზოგჯერ ხდება რომ ავადმყოფობის გამო ადამიანს უჭირს მარხვის დაცვა. ასეთ შემთხვევაში სულიერი მოძღვრის რჩევისამებრ უნდა მოვიქცეთ. თუკი გვექნება ლოცვა-კურთხევა, არასამარხო პროდუქტების მიღება (ხორცი, რძის ნაწარმი) მარხვის დარღვევად არ ჩაითვლება.

მართლმორწმუნენო, მოდით სასოებითა, და მოთმინებით, შევუდგეთ უფალს, ოდეს მოვიმკით ჭეშმარიტი მარხვის ნაყოფს, მაშინ სული ჩვენი საღმრთო მადლით აივსება, მაშინ შეგვეძლება სულიერად ამაღლებულებს შევიგრძნოთ მოახლოებული დღესასწაულები: ფერისცვალება და მიძინება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა. ახლა კი მოკლედ ამ დღესასწაულების შესახებ:

ფერისცვალება

მართლმადიდებლური ეკლესია ფერისცვალებას უწოდა ჩვენისა იესო ქრისტესი 19 აგვიგოს აღნიშნავს.

მათე, მარკოზ და ლუკა მახარებლები მოგვითხრობენ, რომ იესო ქრისტემ თავისი სამი მოწაფე: პეტრე, იაკობი და იოანე თაგორის მთაზე აიყვანა და მათ წინაშე ფერი იცვალა: „და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ ვითარცა ნათელი“ (მათე 17.2). ფიქრობენ, რომ მაცხოვარმა ფერი იცვალა მოწაფეთა რწმენის განსამტკიცებლად, რათა ისინი, როცა მოძღვრის ჯვარცმასა და სიკვდილს იხილავდნენ, მიმხდარიყვნენ, რომ ეს ყოველივე კაცობრიობის ცოდვებისაგან გამოხსნისათვის იყო აუცილებელი.

როცა იესო ქრისტე მოციქულებს თავისი ღვთაებრივი ღიღებით წარუდგა, მის გვერდით წინასწარმეტყველნი, მოსე და ელია იდნენ. მოსე და ელია წინასწამერტყველი „იგყოდეს განსვლასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალიმს“. განსვლაში აქ იგულისხმება სიკვდილის მეშვეობით ქრისტეს წასლვა მიწიერი ცხოვრებიდან, მისი აღდგომა და ზეცად ამაღლება.

პეტრე მოციქულმა სთხოვა მოძღვარს, სამი კარავი დაედგათ ამ წმინდა ადგილას, „რამეთუ იყვნეს შეშინებული“ (მარკოზი 9.6.) უცებ გამოჩნდა ნათლის ღრუბელი და ღრუბლისაგან მოისმა ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ, მაგისი ისმინეთ“ (მათე 17.5).

შიშისაგან პირქვედამხობილ მოციქულებთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა: „აღდეგით და ნუ გეშინინ“. როცა მათ თვალი გაახილეს, აღარ-სად იყვნენ მოსე და ელია, იესო მარტო იყო. აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ ფერისცვალება დღეს—19 აგვისტოს ეკლესიაში მოხდება ახალი ხილის კურთხევა (ვაშლი, მსხალი, ყურძენი...)

მიძინება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა.

რაც შეეხება ამ დღესასწაულს, ჩვენ, ცაგერლები განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რადგან ცაგერის საკათედრო ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. ახლა კი მოკლედ ამ დღესასწაულთან დაკავშირებით: ყოველადწმიდა ღვთისმშობელი იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ იერუსალიმში ცხოვრობდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში. 43 წელს, როცა მეფე ჰეროდემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, ყოველადწმიდა მარიამმა, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად, ეფესოს მიაშურა, იყო კვიპროსზეც, ქრისტიანობა იქადაგა ათონის წმიდა მიწაზე. ბოლოს, კვლავ იერუსალიმს დაუბრუნდა. ის ხშირად ეეიდრებოდა უფალს, მალე მიეღო მისი სული სასუფეველში და აი, ერთხელ, როცა მარიამი მაცხოვრის აკლდამაში ლოცულობდა, ცა გაიხსნა, გარდამოხდა გაბრიელ მთავარანგელოზი ხელში ხეთისხილის რგოთი და უბიწო ქალწულს ახარა: „გიხაროდენ მარიამ.. ამიერიდან დაუტევენ სოფელსა ნეტარო და ზეცასა აღხვალ!“ ღვთისმშობელს სურდა ამ სოფლიდან განსვლამდე ყველა მოციქული ერთად ეხილა. უფალმა ეს სურვილიც აღსრულა ნეტარს. გახარებულმა უბიწო ქალწულმა მადლობა შესწირა ღმერთს, შემდეგ კი თავის მიცვალებაზე დაიწყო საუბარი.

სწორედ ამ დროს ასევე სასწაულებრივ წარსდგა მათ წინაშე პავლე მოციქული სამეოცდაათთგანთა თანხლებით. იაკობ მოციქულმა ხელები უბიწო ქალწულ ქრისტეს სისხლსა და ხორცს [illegible] ქამს— ღვთისმშობლის ამ ქვეყნიდან განსვლისას საოცარი ნათლით გაბრწყინდა ის ოთახი, რომელშიც იგი იწვა. მოციქულები კრძალვით მიეახლნენ ნათელშემდგომ წმიდა ცხედარს და მრავალი სასწაულებრივი კურნება აღესრულა.

ქრისტეს მოწაფეებმა პარასკევ დილით ღვთისმშობლის პაგიოსანი ნეშტი სიონიდან გეთსამანიაში გადასვენეს. ერთ-ერთმა გაბოროტებულმა ურიამ, სიწმიდის შეურაცხოფის მიზნით, მისთვის ხელის შეხება დააპირა, მაგრამ უფლის ანგელოზმა ცეცხლოვანი მახვილით ორივე მხარი მოჰკვეთა მკრეხელს. მოციქულებმა უბიწო ქალწულს შეავედრეს მონანული და შეყვსეულად მოკვეთილი ხელები ისევ სასწაულებრივად მიეზარდა. ლოცვით დაალილ მოციქულებს ჩაეძინათ. სწორედ ამ დროს მიწა იძრა და ღვთისმშობლის სხეული უხილავად ზეცად იქნა აღტაცებული.

ყოვლადწმიდა მარიამის მიძინებას მოციქული თომა არ ესწრებოდა, მაგრამ ღვთის განგებით იგი სწორედ კვირა ღამეს მივიდა გეთსამანიად და ითხოვა საფლავი გაეხსნათ, რათა წმიდა გვამისათვის თაყვანი ეცა. კარი მართლაც გააღეს, მაგრამ აკლდამა ცარიელი დაუხვდათ. მაშინ „გამობრწყინდა ნათელი ბრწყინალე და ჩვეულებისამებრ მდგომარე იხილეს წმიდა ღვთისმშობელი და თაყვანისცეს“.

მოახლოებული ფერისცვალებას და ღვთიმშობლის მიძინების დღესასწაულს ეულოცავ ყველა მართლმადიდებელს და ვუსურვებდი, რომ აღმაჟალი სულიერი ფერისცვალება განგვეცადოს თითოეულ ჩვენგანს, სანაცელოდ კი ზეციური ლეღოუალი მორწმუნეთა გულითად ლოცვას შეიწირავს და წყალობას უხვად მოვიღლენს. ღვთისმშობლის მადლიანმა კალთამ, დაე, დაიფაროს ცაგერის საკათედრო ტაძარი და სრულიად საქართველო აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მასალა მოამზადა
ეკა ბენდელიანმა

კარლო მუშკუდიანი:

„კამოწდები გასრულდა, „კამოწდები“ იწყება

ინტერვიუ

საბედნიეროდ და სასიხარულოდ ლეჩხუმი მრავალი სახელოვანი შვილით ამაყობს. ჩვენ არც გამოჩენილ მწერალთა, მეცნიერთა, პოეტთა და თუნდაც მინისტრთა სიმცირეს ვუჩივით და არც კაცურ კაცთა სინაკლულე გვაწუხებს. ბევრია ისეთიც, ვინაც უბრალოდ დადებს ქვაზე სიკეთეს, შედეგსაც არ დაელოდება, ადგება და მორიგი სიკეთის საქმენლად გაეშურება...

აგერ უკვე ოთხი წელიწადია, რაც ცაგერელი ახალგაზრდებისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილებაა გახსნილი ცაგერის საშუალო სკოლის ბაზაზე. გამოცდები დაიწყო, გამოცდები დამთავრდა... ჩვენ ვესაუბრეთ ბატონ კარლო მუშკუდიანს — პიროვნებას, რომელსაც ლომის წილი უდევს ამ საშვილიშვილო საქმეში და ბევრი მისი ძველი კეთილი საქმეებიც გავიხსენეთ.

—ბატონო კარლო! „ახალი ლეჩხუმის“ პირველი ნომერი უკვე შევნიშნე თქვენს მაგიდაზე. გვაინტერესებს აზრი გაზეთის შესახებ და ისიც, როგორი გინდათ იხილოთ ინფორმაციის ეს ერთადერთი წყარო ლეჩხუმში.

პირველ რიგში, მინდა მივულოცო „ახალი ლეჩხუმის“ რედკოლეგიას, მის რედაქტორს, ყველა ლეჩხუმელს და ვუსურვო მკითხველის სიყვარული, მეტი გამჭვირვალეობა. მინდა გითხრათ, რომ არც ერთი სიტყვა, რომელიც აქ არის დაბეჭდილი, წაუკითხავი არ დამრჩენია. მასში მართლაც შეინიშნება რაღაც თავისუფლების ელემენტები, მაგრამ მეჩვენება, რომ მთლად გულღია მაინც არ არის. მეტი თავისუფლება, მეტი სიმართლე—ი, რაც მკითხველის გულებს დაგაუფლებთ.

თქვენ კარგა ხანია რაიონიდან წახვედით. ლეჩხუმელების უმრავლესობამ იცის სად მოღვაწეობთ, მაგრამ მაინც გარკვეული ინფორმაციული ვაკუუმი შეიქმნა თქვენს შესახებ..

ლეჩხუმიდან წასვლის შემდეგ რესპუბლიკაში ერთ-ერთ უდიდეს საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (N=11) ვხელმღვანელობდი, 1987-88 წლებში გავაკეთეთ „ზაჰესი-ნატახტარის გზა“— თბილისის კარიბჭე, 1989 წელს დავინიშნე აღმოსალეთ საქართველოს საგზაო სამმართველოს გაერთიანების უფროსად. შემდეგ რესპუბლიკაში სხვა სიომ დაჰბერა და გაერთიანებები გააუქმეს. მე საგზაო დეპარტამენტის კაპიტალური მშენებლობების სამმართველოს უფროსად დავინიშნე, ხოლო ბოლო ერთ წელზე მეტია სისტემა დავტოვე, რადგან ჩემი ადგილი იქ ვეღარ ვიპოვე, გზების შეკეთება 1 პროცენტითაც კი აღარსად მიმიდნარეობს. ამჟამად ვარ ერთ-ერთი ფირმის გენერალური დირექტორი, რომელშიც 60 კაცზე მეტი მუშაობს (მათ შორის ლეჩხუმელებიც). ვაწარმოებთ დაახლებით მილიონ ლარამდე ღირებულების პროდუქციას და მომავალში ვაპირებთ ამ თანხის გაზრდას.

რაც შეეხება ოჯახს — მყავს მეუღლე — ქალბატონი ნანი, რომელიც დიდი რუდუნებით უვლის ქმარ-შვილს, შვილი— აკაკი. სამედიცინო ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტია და საოცრად უყვარს ლეჩხუმი.

როგორც უკვე ვთქვით, თქენ საშვილიშვილო საქმე გაუკეთეთ ჩვენს ახალგაზრდებს — გაიხსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილება. წლევანდელი გამოცდებიც ისტორიას ჩაბარდა. რას გვეტყვით განვლილ ოთხ წელიწადზე და იმაზეც როგორ დასრულდა მიმდინარე წლის გამოცდები.

მე ჩემს მეგობრებთან, ახლობლებთან, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებთან, პრორექტორებთან ერთად მოვახერხე ლეჩხუმში იმ მნიშვნელოვანი პრობლემის ნაწილობრივი გადაჭრა, რასაც ჩვენი ახალგაზრდების განათლება ჰქვია. როცა ქვეყანაში ძლიერი ფინანსური კრიზისია და მომავლის ნიჭი და უნარი იკარგება, ვიღაცამ ეს ტვირთი თავისებურად უნდა იტვირთოს. განსაკუთრებული წილი ამ საქმეში ბატონ რამაზ ხუროძეს, უნივერსიტეტის რექტორს უდევს. მოსამზადებელი განყოფილებისათვის ჩვენი ახალგაზრდების სწავლის საჭირო თანხას მე ვრიცხავ.

ოთხი წლის მანძილზე ლეჩხუმიდან სულ 312 ახალგაზრდა მოეწყო სხვადასხვა სპეციალობაზე. აქედან მხოლოდ ერთი განითესა ობიექტური მიზეზის გამო. წლეულს 60 ახალგაზრდა გახდა სტუდენტი, ბძანებები უკვე დაიწერა: აქედან 38 დასწრებულ განყოფილებაზეა. 22— დაუსწრებელზე. მართალია, ლიმიტით 42 ახალგაზრდა უნდა წარგვედგინა, მაგრამ მოვახერხეთ 18-ით მეტი ჩაგვრიცხა.

ურთიერთობები ახალგაზრდებთან, ალბათ, შემდეგშიც გრძელდება.

ჩემი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ბოლო დროს ახალგაზრდებთან კონტაქტები გაიშვიათდა, მაგრამ მე ერთი დღეც არ ვცხოვრობ მათი პრობლემების გარეშე.

ეს ჯულაფერი თქვენს წინასაარჩევნო პროგრამაში იდო. თქვენ მაშინ ხელი მოგეცარათ. რით ახსნიდით მარცხს?

ხდება ხოლმე. მიზეზი ბევრია. იქნებ ერთ-ერთი ამომრჩეველთა ერთი ნაწილის ინტერესულობა, ან კიდევ პოლიტიკური დაბნეულობაა, იქნებ მოუმზადებლობაც...

ჩვენამდე მიაღწია მოარულმა ხმებმა, რომ თქვენ ისევ ვცდილობთ პოლიტიკური მოღვაწეობას დაუბრუნდეთ და კიდევ ერთხელ სცადოთ ბედი პარლამენტში მოხვედრისათვის.

ეს სრული ჭეშმარიტებაა და მინდა გითხრათ, რომ ამ ნაბიჯს ისევ ლეჩხუმსა და ლეჩხუმელთა სიყვარულს ვუკავშირებთ. მინდა მათ უფრო მეტი გავუკეთო, უფრო მეტის კეთება კი უფრო მაღალი ეშელონებიდან გაცილებით უკეთ მისაღწევია. ვეგმები მაქვს, წინასწარი არავის არაფერს ვპირდები. ჩემს პოლიტიკურ ნებას ლეჩხუმელ ამომრჩეველს დავეკითხები და... შემდეგ ვისაუბროთ.

თქვენ ზემოთ მარცხის მიზეზები ახსენეთ. იწყება ახალი საარჩევრო ციებცხელება. როგორ ფიქრობთ— ამაღლდა ჩვენი ამომრჩევლის პოლიტიკური კულტურა?

გულწრფელად თუ გიპასუხებთ, გარკვეულად ამაღლდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სრულიად მომზადებულები ვართ. მე სულაც არ მრცხვენია იმისა, თუ კიდევ დავმარცხდები, რადგან ამ შემთხვევაშიც არ ვაპირებთ ლეჩხუმელ ხალხს ზურგი ოდნავ მაინც შევაქციო.

ისევ ზვიადისტი ხართ?

გაივლის გარკვეული წლები და მჯერა, საქართველოს ექსპრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას ძეგლსაც დაუდგამს შთამომავლობა. მე არავისტი არა ვარ, ვარ სამშობლოსა და საკუთარი კუთხის მოყვარული ერთი ჩვეულებრივი ქართველი კაცი.

ახლა ასე ხდება — ჯერ საკუთარ სრა-სასახლეებს იშენებენ, შემდეგ კი ხალხისკენაც ისვრიან მორჩენილ გროშებს. იმ წლებს თუ თვალს გადავავლებთ, საკმაოდ დალხენილი ვიყვით. თქვენ შესანიშნავი ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაგვიტოვეთ, ხოლო საკუთარი ხახლი ჩვეულებრივისგან არაფრით განსხვავდება.

არა მარტო ესთეტიკური აღზრდის ცენტრი... ორი სამი ახალი ხიდი, სსრკ-ში უნიკალური დოღურაშის „მურის ხიდი“—ერთ საყრდენზე „ყოველწლიურად 20 კმ. ახალი ასფალტირებული გზა... ერთი სიტყვით არასოდეს ვყოფილვარ ხარბი და გაუძაძღარი, პიროვნული „მე“ მხოლოდ მეორე პლანზე მქონდა ხოლმე

და ბოლოს — იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა ამას წინათ ასეთი ფრაზა იხმარა: — მომავალ პარლამენტში ორი ძალა აპირებსო მოსვლას — ერთი, ვისაც ძველი ცოდვებისათვის ოთხ წლიანი იმუნიტეტი და უბრალოდ თავშესაფარი სჭირდება და მეორე, რომელსაც უნდა კაპიტალის დაგროვება. თქვენ რომელ ძალას ეკუთვნით?

არც ერთს და არც მეორეს: იმუნიტეტი არ მჭირდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არაფერი დამიშავებია. რაც შეეხება კაპიტალს—არც ისეთი ღარიბი ვარ. ოჯახში ნორმალურად ვცხოვრობთ. მე უფრო მესამე ძალის წარმომადგენელი შეიძლება მეწოდოს— ვინც ქვეყნის კეთილდღეობაზე ფიქრობს. ლეჩხუმზე ფიქრობს.

გმადლობთ!

მარინა სვანიძე

ლეკური

საგარეჯოში—ჩატარდა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ცაგერის რაიონის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული.

ჩვენი ნაკრებიდან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ლაშა ახვლედიანმა, რომელმაც დამსახურებულად დაიკავა IV ადგილი. მას სულ ცოტა დააკლდა საპრიზო ადგილის მოპოვებისათვის. IV ადგილი წილად ხვდა სოსო ქარსელაძეს, ვახტანგ გოგიძე V ადგილზე გავიდა, ხოლო ოქრო კოპალიანი VI-ზე.

6-11 ივლისს ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის II ტური ფრენბურთში. საქართველოს ექვსი საუკეთესო გუნდი ორ ქვეჯგუფში განაწილდა.

I ქვეჯგუფში ასპარეზობდნენ სამხედრო აკადემიის, აგრარული უნივერსიტეტისა და ბათუმის გუნდები.

II ქვეჯგუფში მოხვდნენ ფიზკულტურის აკადემიის გუნდი „კოლხა", კახეთის რეგიონის და ცაგერის რაიონის ნაკრები გუნდები.

ჩვენმა გუნდმა (მწვრთნელი თენგიზ სალინაძე) პირველ შეხვედრაზე დამაჯერებელი ანგარიშით 3:0 დაამარცხა კახეთის გუნდი.

მეორე, გადამწყვეტ შეხვედრაში, რომელიც დაძაბულ, თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, ცაგერის გუნდი დამარცხდა „კოლხასთან" 1:3.

ქვეჯგუფში დაკავებული II ადგილი საკმარისი არ აღმოჩნდა საუკეთესო ოთხეულში მოხვედრისათვის, თუმცა ჩვენი გუნდის საბოლოო V ადგილი მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ქების ღირსნი არიან გუნდის მწვრთნელი თენგიზ სალინაძე, მოთამაშეები ალუდა ხაბულიანი, გოჩა მუშკუდიანი, ძმები ლაშა და დათო ლიპარტელიანები, ზურაბ მუშკუდიანი, ზაზა კენჭაძე, გოჩა ახვლედიანი, თემურ ანჩაძე.

სასიხარულოა, ასეთ ძლიერ შეჯიბრებაში საუკეთესო ოცეულში ჩვენმა თანამემამულემ, ცაგერელმა სულხან ახვლედიანმა, რომელიც აგრარული უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა. იგი დღეისათვის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.

გიორგი კვირიკაშვილი
ცაგერის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.



კროსვორდი

თარაზულად: 3. შობის წინა ღამეს შესასრულებელი ქართული საწესო სიმღერა. 4. ერთწლოვანი კულტურული მცენარე, რომელიც მრგვალ დიდი ზომის ნაყოფს ისხამს. 9. სოფელი საქართველოში, სადაც შაქარს აწარმოებენ. 11. მოამბე, ამბის მომტანი. 12. პიპინიას უმცროსი შვილიშვილი (კ.კ.) 14. დიდებული, ძლევამოსილი. 15. მოლოდინი, რწმენა რაიმე სურვილის ან მიზნის განსახორციელებლად. 16. სამონასტრო კომლექსი დას. საქ.-ში, რომელიც XIIს-ით თარიღდება. 18. ხის მოგრძო და ღრმა ჭურჭელი ცომის მოსაზელად. 19. თევზის საჭერი მოწყობილობა. 20. მატერიის და სივრცის არსებობის ერთ-ერთი ძირით. ფორმა. ხანა, ეპოქა. 21. შინდის ხის ტოტებისაგან გაკეთებული ცოცხი. (იციან ლეჩხუმში) 22. ჭადრაკის ქვა. 26. კინოფილმ „ნატვრის ხის" ერთ-ერთი მთ. პერსონაჟი. 27. წონის ერთეული. 28. მავნე არსება ლამაზი ქალის სახით. 30. საქართველოს ერთ-ერთი მხარე, სადაც „მარჯნისფერ ფავილს საპონელას ეძახ." 33. ქალის სახელი. 34. დას. საქართველოს ერთ-ერთი დიდი რეგიონი, რომლის ლიდერი თურქულ სახელს ატარებს. 35. დიდგვაროვანი ქართველი ქალბატონი, რომელიც არგონავტებს დაეხმარა ოქროს საწმისის მოპოვებაში. 36. „საბრალოა მხოლოდ სული..." 37. მარადმწვანე, სურნელოვანი მცენარე, რომლისგანაც დიდების ნიშნად გვირგვინს ამზადებენ 38. ძვირფასი ქვა.

შვეულად: 1. დაბალი ხე-მცენარე, რომლის ნაყოფი კურკოვან ხილს მიეკუთვნება. 2. შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება. 5. განადგურება, გავერანება... 6. სურნელება ანუ... 7. უსიამოვნო შემაწუხებელი გრძნობა გამოწვეული მძიმე მდგომარეობით. 8. ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას" ერთ-ერთი პერსონაჟი. 10. ღვინის სმაში სიტყვა, რომლითაც სუფრის ერთი წევრი სთავაზობს მეორეს რაიმე სადღეგრძელოს. 13. სრულყოფილი, საუკეთესო... 17. „მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა და მოჰქონდა სანატრელი ვაზის..." 19. XIV ს-ში აგებული ციხესიმაგრე და სახელმწიფო საპატიმრო პარიზში. 20. მაჯგუფებელი კავშირი. 23. ერთ-ერთი ქრისტიანული დღესასწაული. 24. თალწარმტაცი, ყველაფრით შემკოილი ადგილი იგივე სამოთხე. 25. ვერძის ზოდიაქოს მმართველი პლანეტა. 29. XVIII ს-ში იერუსალიმში მოღვაწე ქართველი მონაზონი მანდილოსანი. 31. ხისგან დამზადებული ხომალდი, რომლითაც ბერძნებმა იმოგზაურეს კოლხეთში. 32. წამება, ტანჯა...

შეადგინა
ნათელა კვირიკაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. თოფი. 2. რაჭა. 3. თოხი. 7. გაზი. 9. ყვა. 10 ქვე. 11. ლეჩხუმი. 13. ინტუიცია. 14. ფორუმი. 15 ალმასი 17. ლილე. 21. მუაში. 25. გიეი. 26. ორბელი. 27. სვანეთი. 30 პერუ. 33. რატი. 34. ევროპა. 35. სარქველი. 36. ია. 37 ძროხა. 40. აია. 41. ელიტა. 43. ირაო. 44. შაორი. 47. თხა. 51. ადამი. 52. აპოკალიფსი. 53. ისაკიძე. 56. დავითი. 57. რაჩხა 58. ასხი. 60. ენა.

შვეულად: 1. თაკვერი. 2. რკო. 4. დოჭი. 5. ვაზი. 6. ღელე. 7. გოია. 8. ჩხუტელი. 9. ყოფა. 12. ჭანჭური. 16. ქაფიანიძე 18. ამერიკა. 19. ირისი. 20. ევა. 22. ლეპუტატი. 23. სვიანი. 24. გიორგი. 26. ოსპი. 28. ბეჩა. 29. ნატვრა. 31. რუჯა. 32. სველი 38. ხელი. 39. მუხა. 41. ერბი. 42. მახე. 45. ასი. 46 ად. 49. თიხა. 49. ფასი. 50. მალე. 54. ანა. 55. ფხა. 58. ომი.

გილოცავთ

ირინა ჟურასბედიანს
გოგიტა გუგავას

გილოცავთ შეუღლებას. ფუძეძლიერი და ბედნიერი ოჯახი შეგექმნათ. გამრავლდით!

ეთერ, ზურაბ, გია, ციცო, მეგი, ქეთი, ზურიკო სვანიძეები, თემურ მარინა გვანცა ახვლედიანები.

კახა და დათო კოპალიანებს!

გილოცავთ ძმისშვილის პატარა კახაბერის დაბადებას. ჰფარავდეს მაღალი ღმერთი.

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია

ლაშა მერცხვალაძეს!
ზაალ სვანიძეს!
სულხან ახვლედიანს!

გილოცავთ დაბადების დღეს გისურვებთ ულევ სიხარულს.

თანაკლასელები.

მარინა ბრეგვაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. იყავი მუდამ სათნო, ლამაზი, მარადქალური.

ცაგერის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კოლექტივი.

რომ კეთილი ადამიანები არა...

ჩვენთან, რედაქციაში დარბაისელი ქალბატონი მობრძანდა, რომელიც აცრემლებული თვალებით გვიამბობდა თავს გადამხდარი უბედურების შესახებ მისი შვილიშვილი, ირაკლი გიას ძე ბენდელიანი, როგორც იტყვიან, ხელიდან გამოგლიჯეს სიკვდილს.

დაახლოებით ერთი თვის წინ, მარტოდმარტო, მთაში თავისიანებთან მიმავალი ბავშვი გზადაკრეფილი მარწყვით მოიწამლა და რომ არა იქ მობინადრე ადამიანების ძალისხმევა, ყოველივე დიდი უბედურებით დასრულდებოდა.

ცირა, ბუჭუ ბენდელიანების ოჯახი დიდ მადლობას უხდის თამარ ჩაკვეტაძეს, რომან ლეთოდიანს, ჭიჭიკო კოპალიანს, რამაზ ბენდელიანს, კატო ბენდელიანს, ეფე ქურასბედიანს, პედაგოგ ლეილა ასანიძეს, მედდა ნატო ფუტკარაძეს, დიტო ხეცურიანს, მთაში, ყოველგვარი მედიკამენტების გარეშე აღმოჩენილი დახმარებისათვის, თენგიზ ფრუიძეს ტრანსპორტირებისათვის.

მადლობას უხდიან, აგრეთვე, ექიმ მირანდა სილაგაძეს, მედდებს: ნინო ყურაშვილს, მერი ბრეგვაძე-კოპალიანს და მთელს სამედიცინო პერსონალს, რომელთაც შემდეგ სტაციონარში დაასრულეს ბავშვის მკურნალობა.

გახსენება

გია გივის ძე ჯიაძე

38 წლის შესრულებას გილოცავთ, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, ჩვენო უიღბლო ბიჭო, საოცრად ლამაზო და კეთილო. შენს საფლავზე ფოთლების ნაღვლიანი შრიალით შემოსულმა მარიამობის თვემ მოგილოცა, ალბათ, ჩვენზე ადრე დაბადების დღე. ჩვენო ერთადერთო, საფიცარო, საამაყო ძმაო.

ახოვანი, ლამაზი, ამაყი სულით დაბიჯებდი. ერთგული და მოსიყვარულე იყავ შეგობრებშიც და ოჯახშიც.

მერვე წელიწადია ანგელოზებთან დაემკვიდრე, მერვე წელია შენი კეთილი, თბილი ღიმილი გვენატრება. არც ერთი დღე არ გასულა შენი სახელი არ ხსენებულიყო ჩვენს ოჯახებში, პატარა ძმისშვილების ყოველ წუთს საფიცარი „გია ბუძია". შენი საფლავი ჩვენი გულია, არასოდეს არ მივატოვებთ შენს ლამაზ სულს და საფლავს. ხშირად მოვალთ სანთლებით და მოგეფერებით, ჩვენო გიაკო. კიდევ და კიდევ გილოცავთ დაბადების დღეს.

შენი მიტოვებული ოჯახი.

გახსენება



დიდი ხანი არ არის რაც ჩვენგან წავიდა ღირსეული ადამიანი ბივი გიორგის ძე კოპალიანი.

ძვირფასო მამიკო, 7 აგვისტოს 58 წელი შეგისრულდებოდა. შენ ვერ წარმოიდგენ თუ როგორ გვიმძიმს უშენობა. გვიჭირს შენს ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს შენთან გამოთხოვება. ვერ შევრიგებივართ აზრს, რომ შენ უკვე აღარა ხარ ჩვენს შორის. საშუდამოდ წახვედი ჩვენგან და დღეის შემდეგ ვერ მოვისმენთ სიყვარულით აღსავსე შენს ღიმილიან დარიგებებს... მაგრამ გჯეროდეს, რომ შენი ხსოვნა მარად დარჩება შენი მეუღლის, შენი შვილების, ნათესავებისა და მეგობრების გულში!..

ნათლით შემოსოს უფალმა შენი სული, მამიკო!

შვილები, ოჯახი.

მამიდა ზოია, ბიძა შაქრო, მამიდაშვილები ნატო, ნანა, იზა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბესიკ ვაჭას ძე ტვილდიანი

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ზოია ტვილდიანს, შაქრო შუბულიანს

ბესიკ ტვილდიანის

გარდაცვალების გამო

რაიონული გამგეობა, საკრებულო და გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია თანაუგრძნობენ ოჯახს

ვერაბ ჟურაშვილის

გარდაცვალების გამო

რედაქტორი
თამარ
დავითულიანი

პასუხისმგებელი
ედიშანი
მზევინარ
ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ნანა ახვლედიანი,
ეკა ბენდელიანი.

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის
№47. ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში"

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ:7-07-80, 7-34-09